

სიტყვაწარმოების გოგიერთი თავისებურება
ქართული ენის
სამხრულ-დასავლურ მეთყველებში (1)
SOME PECULIARITIES OF WORD FORMATION
IN SOUTH-WESTERN SPEECH (1)

ელზა ფუტკარაძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

Elza Putkaradze

Shota Rustaveli State University
Batumi, Georgia

ABSTRACT

The aim of the presented paper is to study and analyze the peculiarities of word formation in South-Western speech. Having analyzed the issue, we rely on the dialectological texts recorded by us in Tao-Klarjeti during the complex expedition of the Niko Berdzenishvili Institute of BSU in 2013-2019. When comparing the forms provided here for illustrative purposes, certainly, we take into account other dialectological records (those of Sh. Putkaradze and others).

As it is known, Georgian language and its dialects are rich in terms of word formation possibilities. From this point of view, the South-Western speech mainly imitates the peculiarities of the word formation of the Georgian language, though there are some specific ways of word building as well. Accordingly, the paper deals with some peculiarities of word formation. Mainly those related to the formation of the names of property and origin, as well as abstract and diminutive forms are discussed.

In South-western speech, the suffix **-ian** is usually the formant of property names, but this formant has another meaning as well. It can also be an expressive form of other content. In particular, it denotes family names taking the plural marker **-t** in this case: **emient**, **miġmient**, **lomient**, etc.

Besides, nouns with the **-ian** suffix are used to denote origin and plural especially when they are represented by the form of double declension Nominative: **nenesani**, **ṭaiasani**, **emiasani**, **bibiasani**, etc.

The suffix **-ovan** is not found in the derivation of names of property, although it is actively used to express the forms of the degree of uniformity in adjectives: **thilissishvani**, **čemiṭolvani**, **mḱlavisishelvani**, **mušṭisishelvani**, etc.

The names of origin in the above-mentioned language area are usually formed by **-ur**, **-el** suffixes. Special attention is paid to the forms of origin with the suffix **-ar** attested in the Upper Machakheli speech: **čhuṭunari**, **čikunari**, **milisari**.

Apart from its usual meaning, the suffix **-oba** of abstract nouns also expresses

a plural number in South-Western speech: **mčvaniloba** (greens), **horcoba** (meat (in plural)), **soploba** (villages), etc.

It is also interesting to highlight one word formation found in the Taoan speech. Here, the **-nar (nal)** suffix functions the same way as the plural formant **-eb**: **ḡarnali** (k'arebi - doors), **ḡevnari** (xevebi - ravines).

Diminutive names rarely occur in South-Western speech. **-a**, **-ak** suffixes function as their formants as in: **čančalaki**, **qvelai**, **dergulai**, etc.

The diminutive **-a** suffix is often attached to plant names: **dodopalai**, **šhamai**, **taplababai**, **tiphalai**... It also indicates possession or quality of something: **pirnatelai**, **ḡudčrelai**, **Pehčakmanai**, **dediperai**, etc.

The illustrated forms clearly show the way the South-Western dialects present an interesting picture, given their word-formation capabilities. Naturally, these capabilities are the same as those of the Georgian literary language, however, certain specificity emerges. In some cases, the derivational affix still maintains the function typical to the old Georgian language. In many cases, affixes occur with the semantic nuance that differs from the function they usually perform in the literary language.

საკვანძო სიტყვები: ქართული ენის დიალექტები, ტაო-კლარჯეთი, სამხრულ-დასავლური დიალექტები, სიტყვაწარმოება, ლექსიკა.

Keywords: Georgian language dialects, Tao-Klarjeti, South-western dialects, word formation, vocabulary.

ქართული ენა და მისი დიალექტები მდიდარია სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობებით. ამ მხრივ, სამხრულ-დასავლური მეტყველება ძირითადად იმეორებს ქართული ენის სიტყვაწარმოებით თავისებურებებს, მაგრამ მაინც გვხვდება ზოგიერთი სპეციფიკური წარმოება. საკითხის განხილვისას ვეყრდნობით 2013-2019 წლებში, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის კომპლექსური ექსპედიციის დროს, ჩვენ მიერ ტაო-კლარჯეთში ჩაწერილ დიალექტურ ტექსტებს.

ნაშრომში ყურადღებას სიტყვაწარმოების ზოგიერთ მხარეზე გავამახვილებთ. როგორც ცნობილია, **-იან** სუფიქსი ქონების სახელთა პროდუქტიული მაწარმოებელია. ასეა ეს საკვლევ მეტყველებაშიც. **-იან** სუფიქსი ქონების სახელებს აწარმოებს როგორც ქართული, ისე თურქული სიტყვაძირებისაგან: *კაი ფეხიანი* არიო; *სიციხიანი* დერია; *ყვავილებიანი* ჩერჩები იყო; *შენი ბიჭი თავთმისანი*; *თავმუნისანი* თხა ყავან; *ძვლიანად* ხარშავდენ; *ჰერსიანი* იყო ჩემი ბაბო; *საბრისანი* ინსანი იყო; *იგბლიანი* დარჩა...

-იან სუფიქსის გენეზისისა და ფუნქციების საკითხს არაერთი ნაშრომი მიემდგნა. არაერთგზის თქმულა მისი ფუნქციების შესახებაც. უძველეს ფუნქციად ენათმეცნიერები კრებითობის, სიმრავლის გამოხატვას ასახელებენ. თუმცა ცნობილია ისიც, რომ **-იან** სუფიქსის ძველი ფუნქცია

მიმდევრობისა და წარმომავლობის აღნიშვნაა (შანიძე 1973: 123). დღევანდელ სალიტერატურო ენაში ეს სუფიქსი აღნიშნულ ფუნქციას ვეღარ გამოხატავს, თუმცა ტაოურში, იმერხეულში, ზედა მაჭახლურში, კლარჯულში, აჭარულში სწორედ ასეთი ფუნქციით გამოიყენება. შტო-გვარების წარმოება **-იან//ან//ენ** სუფიქსებით ხდება. ამასთანავე, ხშირად აღნიშნული ფორმანტი მრავლობითი რიცხვის -თ აფიქსსაც დაირთავს: *ემიენტ* ქონდენ (იმერხ.); *მილმიენტ* უზახდენ (იმერხ.); *ხვერიენტ* გვეტყვიან (იმერხ.); *ქომუენტ* იყვენ (მაჭახ.); *ლომიენტ* უზახიან მათ (იმერხ.); მეხვარათა *ქუაბლიან* ოსმანამა (ტაო)... კონტექსტის მიხედვით, -იენტ ხან შტო-გვარზე მიგვითითებს, ხან კი - გვარით დასახლებულ ადგილზე.

შტო-გვარების მსგავს წარმოებაზე მსჯელობისას პროფ. შ.ფუტყარაძე აღნიშნავს: „მსგავსი წარმოება გვაქვს ზემოაჭარულშიც (ღორჯომის, რიყეთის, ხიხანის ხეობებში), იმერხეულშიც, ტაოს ქართულშიცა და მაჭახლურშიც. როგორც ჩანს, ეს მოვლენა უხსოვარი დროიდან საერთო იყო ქართველური ენობრივი სამყაროსათვის“ (ფუტყარაძე 2016: 617-618).

შენიშნავთ, რომ შტო-გვარების ამგვარი წარმოება გვხვდება ქართული ენის ზოგიერთ დიალექტში (მიძიგური 1970: 202). ანალოგიური წარმოება გავრცელებულია მოხეურში, თუმურში, მთიულურში, ფშაურში (უთურგაძე 1968: 139; ქავთარაძე 1985: 65; ჯორბენაძე 1989: 268).

აღნიშნულის გარდა, -იან სუფიქსიანი სახელები წარმომავლობისა და სიმრავლის გამოსახატავად გამოიყენება, როცა ნანათესაობითარი სახელობითის ფორმით არიან წარმოდგენილნი: *ნენესანი* თაზე წესულან (იმერხ.); *ტაიასანი* არიან მოსაფირები (იმერხ.); *მილმასანი* სახში არიან (აჭარ.); *დაბლასანი* გაჰერსებული არიან შენზე (მაჭახ.); *ისმაილასან* არ უნდოდენ დუგუნ (იმერხ.); *დაბლასან* მოყრილან სასამოთ (იმერხ.); *ბიბიასანი* აქ არიან (აჭარ.); *მურადასანი* წეიზარგენ (იმერხ.); *მილმასანი* წესულან ბურსას (იმერხ.); მაგის *ემიასანი* ქიბარ-ქიბარი ხალხი არიან (აჭარ.); *მილმასანმა* ადრე დამინება იციან (აჭარ.); *მილმასანმა* თქვეს (იმერხ.); ბიბიას *მილმასანთან* დარჩენა უყვარდა, ი გელინი უყვარდა და (იმერხ.).

აღნიშნული წარმოება შენიშნულია ქვემოიმერულშიც (კუბლა-შვილი 1985: 117).

ამდენად, -იან სუფიქსი, ქონების შინაარსის გამოხატვის გარდა, სამხრულ-დასავლურ მეტყველებაში ჯერ კიდევ ინარჩუნებს სიმრავლისა და წარმომავლობის გამოხატვის ფუნქციასაც.

-ოვან სუფიქსი კი ქონების სახელთა საწარმოებლად არ გვხვდება, თუმცა ზედსართავ სახელთა თანაბრობითი ხარისხის გამოსახატავად აქტიურად გამოიყენება: *თხილისისხვანი* ხომკაკალაი მოვდა (იმერხ.); *ჩემიტოლვანები* ბარსამ საქმობენ (იმერხ.); *იმისტოლვანები* ვინმე აღარაა (მაჭახ.); *შენტოლვანებ* შეხედე ერთი (იმერხ.); *მკლავისისხელვანი* ნაწნავები გადმუყურია ზრუგზე (აჭარ.); *მუშტისისხელვანი* გუუხდა თვალები, იმდენი იტირა (აჭარ.); *რამსისხელვანი* დაზდილან ბაღნები (აჭარ.); *პაწვანი* ბაღნები ყავან (აჭარ.); მე გამოვეკერე ამ მიწას, *ჩემსისხელვანები* ვინმე აღარ

არიან (მაჭახ.), *მუშტისისხელვანი* ხომკაკალი იყო (აჭარ.); *ამიტოლვანები* რამდენ ეზიეთში არიან (დევსქ.); *მუშტისისხვანი* ცრემლები გადმოყარა ჩემ დედამა (დევსქ.); *ჩემტოლვანები* მოდიან და ვიხვართებთ (ტაო); *ამიტოლვანები* რომ ვიყავით, მეცყრებოდი და ვიდლებდი (დევსქ.).

როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, „თანაბრობითი ხარისხის მნიშვნელობით ქართულში გამოყენებულია ზედსართავისაგან სი-ე (სი-ო) აფიქსებით ნაწარმოები აბსტრაქტული სახელები: სიმსხო, სისქე, სიმაღლე, სიგრძე და მისთ., რომელიც შესადარებელი საგნის სახელს ნათესაობით ბრუნვაში მოითხოვს“ (შანიძე 1973: 141). ამასთანავე, შენიშნულია, რომ მსგავს შემთხვევებში დასახელებულ აბსტრაქტულ სიტყვებს ემატება ტოლი და ხელი, თანაც ასეთი ლექსიკური ერთეულები წარმოდგენილია -ოვან სუფიქსით (ფუტკარაძე 2016: 619). ჩვენ მიერ მოძიებული მასალაც ანალოგიურ ვითარებას გვიჩვენებს. ასეთ შემთხვევებში, ძირითადად, ტოლი, ხელი და სიმსხო სიტყვებზე -ოვან სუფიქსდამატებული ფორმები გვხვდებიან.

სამხრულ-დასავლურ მეტყველებაში გავრცელებულია ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმების აღწერითი წარმოება, რომელიც ხშირად სიტყვათა განმეორებით გადმოიცემა. ასეთ ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტებშიც წარმოდგენილია -ოვან სუფიქსი: *ლამაზლამაზვანი* არიან მაგ ჯიშის ხალხი (მაჭახ.); *დიდვანდიდვანი* ბელტები დააყენა (აჭარ.); *პაწვანპაწვანი* ვაშლები მეისხა (მაჭახ.); გამოაჩინა *ხმელხმელვანი* კლიკები ი(იმერხ.); *მაღალმაღალვანი* კაცები არიან (იმერხ.); *დიდვანდიდვანი* დაბრიალებული თვალები აქ (აჭარ.); თიებზეც *დიდვანდიდვანი* სახლები დააკეთეს (მაჭახ.); *დიდვანდიდვანი*, მწარე სიტყვების თქმა იცის, გულს მოგიკლავს (აჭარ.); *პატიტვანპატიტვანი* ღარჭები არიან (ტაო); *მაღალმაღალვანი* ღარჭები ხართ, ლამაზვანი (ტაო).

-იერ მაწარმოებელი ყოლა-ქონების აღსანიშნავად არაა აქტიური გამოყენების. თუმცა შევნიშნავთ, რომ გავრცელებულია -იერ მაწარმოებლიანი ფორმა სოფლიერი: აქავრი *სოფლიერია* (იმერხ.); ჩვენ *სოფლიერ* ხალხმა ეგონენ (დევსქ.); *სოფლიერები* გეიზდენ ქალაქში (იმერხ.); ნადში *სოფლიერი* იქნებოდა (ტაო); ჩვენი *სოფლიერები* თიებზე არიან (იმერხ.); *სოფლიერ* ხალხ ბევრი მუშაობა აქვან (ტაო).

იმერხეულის სიტყვაწარმოების თავისებურებებზე საუბრისას, პროფ. შ. ფუტკარაძე ყურადღებას ამახვილებს სოფლიერ ფორმაზე: „გვხვდება უჩვეულო სიტყვა სოფლიერი, რომელიც სადაურობასთან ერთად სიმრავლეზეც მიგვითითებს: საყურებლათ ყუელა სოფლიერი გამოსულან; ჩუენი სოფლიერი საფლავებზე წადიოდენ ამ დღესა; ჩუენ სიმღერასა სოფლიერი სულ შეიტყობდა; შეიყრებოდენ სოფლიერი მარიობაზე; სოფლიერები ქალაქებში გადმოსახლდენ... სოფლიერი ნიშნავს სოფლელები“ (ფუტკარაძე 2016: 620).

წარმომავლობის სახელებს ჩვეულებისამებრ აწარმოებს **-ურ**, **-ელ** ბოლოსართები: მაგის ძალი სხლობნელია (იმერხ); მე ბალხელი ვარ (ტაო); ბაზგირელებმა იციან ბევრი სიმღერები (იმერხ.); *მინდიელი* კაცი მაინც არ ყოფილიყავ (მაჭახ.)... როგორც ცნობილია, **-ელ** ბოლოსართი ადამიანთა სადაურობას გამოხატავს (ჩიქობავა 1942: 137).

შ. ფუტკარაძე წარმომავლობის სახელთა წარმოების ერთ საინტერესო ნიუანსზე მიანიშნებს: „**-ელ** ადამიანთა სადაურობის აღმნიშვნელი სუფიქსი გათხოვილ ქალთა წარმომავლობის გამოხატვისას დაირთავს ა მაწარმოებელს და წარმოგვიდგება ელა ბოლოსართის სახით. მაგ., ქალი სიდამაც წამოყვანილია, იქვერი იქნება-დიობნელია, ბზათელია, წყალსიმერელია, ქოქლიეთელია, სვირევნელია, ივეთელია, ტიბეთელია, სხლობნელია, ჩიხორელია, აგარელია...“ (ფუტკარაძე 2016: 620).

-ურ ბოლოსართი არაადამიანთა სადაურობის აღმნიშვნელია: ეს *შავშური* ლობიაა (იმერხ.); *ბაზგირული* სიმღერები მოგწონდენ? (იმერხ.); *ჩიხორული* ვაშლია, ჭამეთ (იმერხ.); ერთი *ბაზგირული* ამბებიანა გითხრა (იმერხ.).

სამხრულ-დასავლურ მეტყველებაში, ქართული სალიტერატურო ენის სხვა დიალექტების მსგავსად, ადამიანთა წარმომავლობის **-ელ** სუფიქსის მონაცვლედ ზოგჯერ გამოდის არაადამიანთა სადაურობის **-ურ** (**-ულ**) აფიქსი: ჩემი ანაი *ჩიხვტური* იყო (იმერხ.); ჩვენთან ბევრი *შავშურაი* ნენიები იყვენ გამოთხოვილი (აჭარ.); ჩემი დედა *უბური* იყო (დევსქ.); *შავშურა* გელინო (დევსქ.); შენ *ჩიხორული* ხარ? (იმერხ.)...

-ელ და **-ურ** სუფიქსთა ანალოგიურ მონაცვლეობაზე საუბრობს შ.ნიჭარაძე ზემოაჭარული დიალექტის თავისებურებათა განხილვისას: *ხიხაძირულია* გელინი; *ჭვანურაი* ხოჯა; *დანდალურაი* ქალი (ნიჭარაძე 1961: 108).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სადაურობის აღსანიშნავად ზედამაჭახლურში, **-ურ**, **-ელ** სუფიქსების გარდა, გვაქვს უძველესი **-არ** სუფიქსი. ის შემოგვინახა სადაურობის აღმნიშვნელმა ფორმამ: *ჩხუტუნარი* (=ჩხუტუნეთელი), *ჩიქუნარი* (=ჩიქუნეთელი), *მილისარი* (=მილისელი); ამის ნენეი *ჩხუტუნარია*; *ჩიქუნარ* აიშეს უმახიდენ; *ჩიქუნარა* გელინ უმახიდენ; *ჩხუტუნარს* მუუკლია და იქ ვეღარ მცხოვრებულა; *ჩხუტუნარია* ნენე; ერთი *მილისარი* კაცი.

საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ **-არ** სადაურობის აღსანიშნავად დაცულია რამდენიმე ეთნიკურ ტერმინში, კერძოდ, *ოდიშარი* (ოდიშის მცხოვრები), *სომხითარი* (სომხითის მკვიდრი), *ოპიზარი* (ოპიზელი), *ოლთისარი* (ოლთისელი), *ვიხიკარი* (ვიხიკელი), *მტბევარი* (ტბეთელი). **-არ** სუფიქსზე მსჯელობისას, ა. შანიძე მოიშველიებს ჭანურ-მეგრულის მონაცემებს, სადაც აღარ არსებობს განსხვავება ადამიანისა და არაადამიანის სადაურობის აღსანიშნავად, როგორც ეს ქართულში გვაქვს. **-ურ** ან **-ორ** ჭანურში თანაბრად აღნიშნავს ადამიანისა თუ ნივთის სადაურობას. მეგრულშიც იხმარება სუფიქსი **-ურ** როგორც ადამიანის,

ისე ნივთის სადაურობის გამოსახატავად. მაგრამ ამ სუფიქსთან ერთად მეგრულში მხოლოდ ადამიანის ვინაობის გამოსახატავად მოიპოვება მეორე სუფიქსი -არ, რომელიც ქართულ-მეგრულის ფონეტიკური შესატყვისობით ეფარდება ქართულ -ელ სუფიქსს (შანიძე 1957: 31). ა. შანიძე მიიჩნევს, რომ შესაძლებელია *ოდშიარი, ოპიზარი, ოლთისარი, ვიხიკარი, მტბეგარი* ჭანურ-მეგრული ფორმები იყოს. მისივე აზრით, ჭანურ-მეგრული -არ სუფიქსი, რომელიც ჭანურს მთლიანად დაუკარგავს და რომლის დაკარგვა უკვე დაუწყია მეგრულსაც, ქართულ ენას შემოუნახავს რამდენიმე სიტყვაში: *ოდშიარი, ოპიზარი*.

სწორედ უძველესი -არ სუფიქსი სადაურობის აღსანიშნავად შემოგვინახა ზედამატებითმა მეტყველებამ *ჩხუტუნარი, ჩიქუნარი, მილისარი* ფორმებში.

სამხრულ-დასავლურ მეტყველებაში გავრცელებულია აბსტრაქტულ სახელთა -ობა სუფიქსიანი წარმოება: ბიჭის მხარე დუგუნი იქნებოდა, *ჯუმბუშობა* (მაჭახ.); ბრინჯ გადაყრიდენ დოდოფალ, რომ *ზენგინობა* იყოსო, *ბერექეთობა* იყოსო (იმერხ.); *ხარმანობა* იყო, ხერტლის ნადი იყო (მაჭახ.); *ნიშანლობაზე* გაჩენილ ბაღანას ბუმ ეტყოდენ (მაჭახ.); ჩემი კაცობა ვინ თქვა (იმერხ.); ძველათ ძალი და დედამთილი ერთათ დაჟდებოდით, *მოსაფირობა* იყო (დეესქ.); სიმინდის *ხარმანობა* დევწყეთ (იმერხ.); თუ ტაროსი კადა და გაათფო, *თიბილობა* იქნება (მაჭახ.); ჩემ სისხლ ქონდეს *მდიდრობა, ბერექეთობა*.

გვხვდება შემთხვევები, როცა მოსალოდნელი სი-ე, სი-ო მაწარმოებლის ნაცვლად დასტურდება -ობა: *მდიდრობა, ცოცხლობა, ტკიბილობა, თიბილობა, ლამაზობა...*

ზოგჯერ -ება წარმოებას ენაცვლება სი-ე; *სიმცხოვრე*.

გამოვყოფდით -ობა სუფიქსთან დაკავშირებულ ერთ ნიუანსს. კერძოდ, -ობა სუფიქსი, ჩვეული მნიშვნელობის გარდა, სამხრულ-დასავლურ მეტყველებაში მრავლობით რიცხვსაც გამოხატავს: ბოსტანში გამაგზავნა *მწვანილობაზე* (მაჭახ.); დუგუნზე *ხორცობა* იქნებოდა (იმერხ.); *სოფლობაში* ვიტყვით, *ხალხობაში* არ იცოდენ, რომ კაა რაცხაა (მაჭახ.); *მწვანილობა* თლათ შევაპუწყე (მაჭახ.); თქვენი *სოფლობა* კაია (იმერხ.); ზეით, ზეით *სოფლობაში* არიან (იმერხ.).

საილუსტრაციოდ წარმოდგენილ ფორმებში -ობა სუფიქსი ფუნქციით უტოლდება მრავლობითი რიცხვის -ებ ნიშანს. აღნიშნული წარმოება უცხო არაა ქართული ენის სხვა დიალექტებისათვის. შენიშნულია ქართულში, კახურში, ჯავახურში, აჭარულში (იმნაიშვილი 1974: 200; ჯორბენაძე 1989: 326; მარტიროსოვი 1984: 55; ნიჟარაძე 1975: 123).

საინტერესო წარმოება თავს იჩენს ტაოს მეტყველებაშიც. აქ მრავლობითი რიცხვის -ებ მაწარმოებელს ფუნქციით უტოლდება -ნარ (-ნალ) ბოლოსართი: დიდი წვიმა იყო და *ხევნარი* (ხევები) უუვსია; საქართველოს *კარნალი* (კარები) გეელო და ჩუენი გულების *კარნალიც* გეელო; *ხევნარი* (ხეები) თოვლმა დატეხა; *ხევნარი* არ ურგიან; თქვენი იერი

დუზია, ჩვენი კილდევენარი; ბევრი კილდევენარი ადგილებია აქ და არ დაგწონდენ აქავრობა.

სამხრულ-დასავლურ მეტყველებაში იშვიათად გვხვდება კნინობითი სახელები. მათ საწარმოებლად გვხვდება -ა, -აკ ბოლოსართები: დერგულად – ძალ შეინახავ (მაჭახ.); წანწალაკი არი გადებული წყალზე (იმერხ.); ყველი გვალად გაკეთებულია, ქვეშედან პაწად ყველად (მაჭახ.); ლამაზი გოდრიცაი გუუკეთებია (იმერხ.).

-ა სუფიქსი კნინობითობის გარდა სხვადასხვა შინაარსობრივ ნიუანსს გადმოსცემს. ის ხშირად ერთვის მცენარეთა სახელებს: დოდოფლად, შხამად, თაფლაბაბად, თიფხალად, კოკომჟავად, დინდოლად (ბალახებია); ლომად, ბოხჩად, სასელად, ხეჭეჭურად, სამახად, დიდვანად, ძორად, წარად, მარიობად, ჭვანად, გონივრად, ჭანივრად, წიპად (მსხლის ჯიშები).

-ა რისამე მქონებლობაზე ან თვისებაზეც მიანიშნებს: პირნათელად, კუდჭრელად, ფეხჩაქმანად, დედიფერად, ზაფხულისგულად, ჩიჩეგად.

ზედამაჭახლურ მეტყველებაში გვხვდება კნინობით-ალერსობითი შინაარსის გამომხატველი -უნ, -ულ-ა მაწარმოებლიანი ფორმები: კად ვარ ბიძუნე; შენი ჭირიმე, ჩემო ბაბულავ; ჩემო ნენულავ; ამოდი ნენულავ; არ მოხსოვს ნენული; ჩემო ნენულავ, გამზდელი, შენი ჰახი რა სოინა დიგიზღვა, ნენულავ.

ამრიგად, განხილული დიალექტური მასალა ნათლად გვიჩვენებს, რამდენად საინტერესო სურათს წარმოგვიდგენს სამხრულ-დასავლური მეტყველება სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობებით. ბუნებრივია, ისინი იმეორებენ ქართული სალიტერატურო ენის სიტყვაწარმოებით შესაძლებლობებს, მაგრამ გამოიკვეთა გარკვეული სპეციფიკურობაც. ზოგ შემთხვევაში მაწარმოებელ აფიქსს ძველი ქართული ენისათვის დამახასიათებელი ფუნქცია ჯერ კიდევ აქვს შემონახული. ხშირ შემთხვევაში კი აფიქსები სალიტერატურო ენაში დამკვიდრებული, მათთვის ჩვეული ფუნქციისაგან განსხვავებული შინაარსობრივი ნიუანსის გამომხატველად გვევლინებიან. სწორედ ესაა სახასიათო და განსაკუთრებული. ამ თავისებურებით კიდევ ერთხელ დასტურდება, რამდენად ამოუწურავი სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობით მდიდარია ქართული სალიტერატურო ენა და მისი დიალექტები.

გამოყენებული ლიტერატურა

იმნაიშვილი 1974: იმნაიშვილი გრ., ქართლური დიალექტი, I, თბილისი, 1974.

კუბლაშვილი 1985: კუბლაშვილი კ., ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი, თბილისი, 1985.

მარტიროსოვი 1984: მარტიროსოვი არ., ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბილისი, 1984.

ნიჟარაძე 1975 ა: ნიჟარაძე შ., ქართული ენის აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1975.

ნიჟარაძე 1961 ბ: ნიჟარაძე შ., ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, ბათუმი, 1961.

უთურგაძე 1968: უთურგაძე თ., ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, თბილისი, 1968.

ფუტკარაძე 2016: ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, წიგნი მეორე, ბათუმი, 2016.

ქავთარაძე 1985: ქავთარაძე ივ., ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბილისი, 1985.

შანიძე 1973: შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1973.

ჩიქობავა 1942: ჩიქობავა არნ., სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942.

ძიძიგური 1970: ძიძიგური შ., ქართული დიალექტოლოგიური მიეზანი, თბილისი, 1970.

ჯორბენაძე 1989: ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1989.